საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო გაზეთი №4(186) 2019 წ. 16-28 თებერვალი ფასი 1 ლარი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის თათბირები

19 თებერვალი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ლექსო გილაშვილი*** უძღვებოდა. თათბირს ესწრებოდნენ ***მერის მოადგილე შოთა კაკაბაძე,*** მერიის სამსახურების, განყოფილებათა უფროსები, მერის წარმომადგენლები მუნიციპალიტეტის თემებსა და სოფლებში.

თათბირის დასაწყისში ლექსო გილაშვილმა მოისმინა ინფორმაცია წინა დღეებში ძლიერი ქარებით მიყენებული ზარალის შესახებ. როგორც გაირკვა, ქარებმა სოფელ უდაბნოში 10 საცხოვრებელი სახლი დააზიანა, ასევე დაზიანდა სოფელ ხაშმში მოსახლის კუთვნილი სახლი და ადმინისტრაციული შენობის სახურავი. როგორც ლექსო გილაშვილმა აღნიშნა, უახლოეს დღეებში შეიქმნება ზარალის დამთვლელი კომისია. მან ასევე დაწვრილებით გამოიკითხა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საქმიო ამბულატორიების შენობათა მდგომარეობა. სერიოზულ შეკეთებას მოითხოვს უჯარმის, ბადიაურის საქმიო ამბულატორიების შენობათა სახურავები, ხოლო დიდ ჩაილურში, მზისგულსა და ხაშმში არსებული შენობები კი სერიოზულ ყურადღებას ითხოვს.

მერის მოადგილეებმა მერის წარმომადგენლების მიერ დასმულ შეკითხვებს ახსნა-განმარტება მისცეს, კონკრეტულად, მათ უპასუხეს პროდუქტის ადგილწარმოშობის შესახებ ცნობის გაცემის წესსა და სახნავ-სათესი მიწის ფართობებზე იჯარის ვადაგასვლის შემდეგ არსებული კანონების ზედმიწევნით დაცვის თაობაზე.

თათბირის ბოლოს შედგა გრაფიკი და შპს „საგარეჯოს“ დირექტორს თამაზ კუჭუაშვილს მიეცა კონკრეტული დავალება სოფლებში არსებული გზების მოწესრიგების შესახებ.

26 თებერვალი, 2019 წელი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის სამშაბათის თათბირს ***საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერი ბიორგი ერბოწონაშვილი*** უძღვებოდა. თათბირს მერის მოადგილეები, მერიის სამსახურების უფროსები, განყოფილებათა გამგეები და მერის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

თათბირზე მუნიციპალიტეტის მერმა ისაუბრა იმ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე, რომლებიც მიმდინარე წელს დაიწყება და 2020 წელშიც გაგრძელდება. ეს არის პროექტები, რომლებიც ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიური და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებაზეა ორიენტირებული. აღნიშნული პროექტები მნიშვნელოვნად შეუცვლის იერ-სახეს ქალაქ საგარეჯოსაც და სოფლებსაც. როგორც მან აღნიშნა, დღეს დღის წესრიგში დგას მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საფრთხის შემცველი ხევების გაწმენდა-მოწესრიგების, ასფალტისსაფარიან ქუჩებზე წყალსაწრეტი არხების მოწყობის საკითხები. ერთია ის, რომ 2020 წლისათვის საგარეჯოს მუნიციპალიტეტში საბოლოოდ მოგვარდება სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგების საკითხი, რომელიც უკვე ამ ორიოდე წლის წინ დაიწყო.

თათბირზე კიდევ ერთხელ იქნა მიმოხილული თითოეულ სოფელში სასმელი წყლით მოსახლეობის მომარაგებაში არსებული პრობლემები, რომლებიც მუნიციპალიტეტის მერის თქმით, ერთობლივი ძალისხმევით და მყისერი მოქმედებით უნდა მოგვარდეს უმოკლეს ვადებში. ასევე, როგორც მან აღნიშნა, სოფელ ნინოწმინდის ქვედა უბნის სასმელი წყლით მომარაგებისათვის აუცილებელია ერთი ჭაბურღილის მოწყობა. გიორგი ერბოწონაშვილმა მერის თითოეულ წარმომადგენელს შეახსენა ის დაპირებები, რაც მან და საერთოდ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მისცა მოსახლეობას იანვარ-თებერვალში მათთან შეხვედრისას: – მე ერთ თვეში კვლავ ვაპირებ ჩვენი მუნიციპალიტეტის მოსახლეობასთან შეხვედრას, ამდენად, მინდა პირნათელი გამოვიდე ჩემი დაპირებების შესრულებითო, – აღნიშნა მან.

თათბირზე გიორგი ერბოწონაშვილმა გულისტკივილი გამოთქვა იმ ფაქტის გამო, რომელიც ამ დღეებში მოხდა საგარეჯოში – „სათავის“ ტერიტორიაზე არსებულ ე.წ. „გოგიტაანთ“-ში 20 ძირი ფიჭვისა და მუხის ხეების გაჩეხვის შესახებ. როგორც მან აღნიშნა, აუცილებელია თითოეული ჩვენთაგანი გაუფრთხილდეს ტყეს, რომლის გარეშეც შეუძლებელია ადამიანის არსებობა. ვეცადოთ, რომ ჩვენი „სათავე“ ნაკრძალად გამოცხადდეს და საერთოდ, ჩვენი მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიკრძალოს ტყეების უმოწყალო ჩეხვა. პასუხი მოვთხოვოთ ყველას თითოეული ხის მოჭრის, ნარგავის ხელყოფისათვის. აღნიშნული ფაქტი შესაბამისი ორგანოების მიმართ გამოძიებული იქნება და დამნაშავეს საკადრისი მიესჯება. მაგრამ, ჩვენ წინ უნდა ვიხუდებოდეთ – ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს უნდა შევუქმნათ პირობა – დაუტოვოთ ადგილ-მამული, ტყეც, წყალიც და ჰაერიც. ამ ფაქტის მიმართ საზოგადოების რეაქციას მოუთმენლად ველოდები. ის, რასაც ჩვენ, მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობა ამ ფაქტის მიმართ მივმართავთ, ეს უკვე მალე კანონიერ სახეს მიიღებს.

როგორ ვუფრთხილდებით ტყეს

ვანდალური აქტი!!!

მიმდინარე წლის 24 თებერვალს, გვიან ღამით საგარეჯოს მოქალაქემ მოგვაწოდა ფაქტის ამსახველი ფოტოსურათი და ინფორმაცია, რომ სათავის ტერიტორიაზე, ე.წ. გოგიტაანის მიმდებარედ, აღმოჩენილია უკანონოდ მოჭრილი დაახლოებით 20 ერთეული მრავალწლიანი ნედლი ფიჭვი და მუხის ხე. აღნიშნული მოქალაქე დაბარებული იქნა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიაში. მოხდა ფაქტის დეტალური განხილვა, რის საფუძველზეც საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის, ზედამხედველობის განყოფილების თანამშრომლები და მერის წარმომადგენელი ქალაქ საგარეჯოში განმცხადებელთან ერთად მყისიერად გავიდნენ მითითებულ ადგილზე ფაქტის დასადგენად. შემთხვევის ადგილზე გასულ თანამშრომლებს დახვდათ ბენზოხერხით ახალადმოჭრილი მუხის და ფიჭვის მრავალწლოვანი ნარგავები. აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, განმცხადებლის მიერ დამატებით იქნა წარმოდგენილი წერილობითი განცხადება, რომლის საფუძველზეც, შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის (იურიდიული სამსახურის) მიერ მომზადდა წერილობითი მიმართვა გარემოს დაცვის სამინისტროს უფლებამოსილი ორგანოსათვის ფაქტთან დაკავშირებული კანონით გათვალისწინებული შემდგომი ღონისძიებების უზრუნველყოფის მიზნით.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია



მუნიციპალური გვერდი

თემი

კოჭბანი

***საქართველოს** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ორგანიზებით დასრულდა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სოფ. კოჭბანის კვირაცხოვლის სახელობის ეკლესიის სარესტავრაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოები. სააგენტოს მიერ მომზადებული საპროექტო დოკუმენტაციისა და ნებართვის საფუძველზე განხორციელებული ფიზიკური სამუშაოები, რომელიც ინდივიდუალურმა მეწარმემ „ბექან ყაველაშვილი-ზოდი“ აწარმოა, საქართველოს ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის (ფონდი „ქართუ“) მიერ დაფინანსდა.*

შესრულებული სამუშაოების შედეგად, რკინა-ბეტონის კონსტრუქციით კაპიტალურად გამყარდა ეკლესიის საძირკველი და მოეწყო მისი საყრდენი კედელი. რთული ხსნარის გამოყენებით კლდოვანი ნატეხი ქვით აღდგა ნაგებობის გამჭოლი ბზარები. საკულტო ნაგებობის საპერანგე წყობის გამოქარულ ადგილებზე მოიხსნა მორყეული ქვები, რომლებიც დაინომრა და უწინდელ ადგილებზე დამაგრდა. კლდოვანი ჯიშის სხვადასხვა ფორმისა და ზომის ქვებით აღდგა ეკლესიის საფასადო წყობა. ინტერიერში მოეწყო ლავგარდანი. ეკლესიის სახურავი კი ღარიანი კრამიტით დაიფარა. თხელი ფლეთილი ქვით მოეწყო იატაკი. დამზადდა და დამონტაჟდა ხის ავთენტური ფორმის კარი.

კოჭბანი – კომლი – 95
მოსახლეობა 149
ოთარაანი – კომლი – 20
მოსახლეობა – 32
სასადილო – კომლი – 50
მოსახლეობა – 105
გორანა – კომლი – 60
მოსახლეობა 110
იკვლივ გორანა – კომლი – 30
მოსახლეობა – 44
ჭეხილა – 2014 წელს 3 კომლი იყო, ახლა 2 კომლია, 1 კავშირგაწყვეტილი
მოსაცური – 2012 წელს 1 ოჯახი ცხოვრობდა, ახლა აღარავინ ცხოვრობს.
კოჭბანის თემი – საძოვარი – 550 ჰა
სახნავ-სათესი – 475ჰა
ერთწლიანი კულტურები – 62 ჰა
მრავალწლიანი კულტურები – 26 ჰა

მაჟორიტარი დეპუტატი
ხათუნა ბერიძე
დაიბადა

1969 წელს საგარეჯოს რაიონის სოფელ კოჭბანში
განათლება – უმაღლესი იურიდიული (საქართველოს სამართლისა და ეკონომიკის ინსტიტუტი, საქართველოს შს სამინისტროს პოლიციის აკადემია)
სამუშაო გამოცდილება – უკრაინის რესპუბლიკა, პოლტავის ოლქი, იურისტი; საქართველოს მშენტრესტი, იურისტი (1991-1993წწ), საქართველოს შს სამინისტრო, საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტი, იურისტი (1993-2011წწ).

კოჭბანის თემის სოფლებში შემდეგი **პრიორიტეტული საკითხებია:**

– ცენტრალური გზის მოასფალტება (1700 მ), სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა.

– ე.წ. „ტიტველაშვილი-მისრიაშვილის“ გზის გაფართოება-მოხრეშვა;

– **ე.წ.** აბგაიძე-ჩორხაულების და გიგაურების უბნების გზის მონაკვეთების მოხრეშვა, სანიაღვრე არხებისა და ბოგირების მოწყობა;

– ***მინი-სტადიონის*** მოწყობა;

– ***ოჯახის ექიმის*** შტატის დამატება (სოფელში არის საექიმო პუნქტისათვის ოთახი და გვყავს ადგილობრივი კადრი – ოჯახის ექიმის, პედიატრისა და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების ექიმის ლიცენზიებით.

– ***კოჭბანში*** არსებული ყოფილი ადმინისტრაციული ავარიული შენობის რეაბილიტაცია – მრავალფუნქციური შენობის მოწყობის პერსპექტივით. აქ შეიძლება განთავსდეს საჭიდაო დარბაზი და სარიტუალო დარბაზი, ასევე, შეიძლება აქაური ქალებისთვის გამოიყოს ოთახი ხელგარჯილობისათვის. მათ შეუძლიათ ქსოვა, ქარგვა, ძაფის დართვა, მათი ხელით მოქსოვილი ნივთები კი შეუძლიათ გაყიდონ, რითაც შემოსავალს შეუტანენ ოჯახს.

– **ბარე** განათების მოწყობა სოფლების შიდა უბნებზე;

– **ხევებზე** გადასასვლელი დაკიდული ხიდების მოწყობა (კოჭბანში აბგაიძე-ჩორხაულებისა და ტიტველაშვილების გადასასვლელ ხევებზე, კოჭბან-გორანის გადასასვლელ ხევზე, გორანაში „დედაქალთ“ უბნის გადასასვლელ ხევზე;

– **სოფელი** გორანა – ჩოხელებისა და გოდერძიშვილების სასმელი წყლით მომარაგების დარეგულირება და აქ წყლის მარეგულირებლის დანიშვნა.

– **იკვლივ გორანა** – ელექტროგადამცემი ბოძებისა და სადენების გამოცვლა, ინდივიდუალური გამრიცხველიანობის მოწყობა

– **სასადილო** – თხელსოფელი სასმელი წყლის ბასეინიდან ცალკე სასმელი წყლის ძარღვის გაყვანა გიგაურ-ცანდიშვილების უბანზე და აქ მარეგულირებლის დანიშვნა.

ოთარაანი

– მოძრაობის შემზღუდავი ბარიერების მოწყობა;

ყურადღებას საჭიროებს ჩვენს თემში არსებული ნასოფლარები – ბოტკო – გასული საუკუნის 40-იანი წლებიდან 70-იან წლებამდე იყო 4 წლედი სკოლა, კოლმეურნეობა. ბოლო აქაური მკვიდრი თამარ ხუცურაული 1996 წელს 80 წლის ასაკში გარდაიცვალა;

ჭეხილა, რომელშიც დღეს 4 ოჯახი ცხოვრობს, მოსაცურში 1 ოჯახი. ზაფხულში აქ ბევრი დამსვენებელი იყრის თავს. უკანასკნელ ხანს მთის კანონის ამოქმედება ბევრს აფიქრებინა მიტოვებული მამაპაპისეული სახლის დაკანონება, შეკეთება და საბოლოოდ აქ დასახლებაც.

მერის წარმომადგენელი თემში
ბელა ხოშარაული
დაიბადა 1961 წელს
განათლება – თსუ – ინჟინერ-ეკონომისტი (1988-1998წწ)
სამუშაო გამოცდილება: გომბორის მეხილეობისა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სტატისტიკოსი (1988-1990წწ); კოჭბანის მეურნეობის მთავარი ტექნიკოსი (1991-1992წწ); ზურგის უფროსი, საქართველოს ეროვნული გვარდია (1992-1995წწ); კოჭბანის რწმუნებული (2009-2012წწ); ეწეოდა კერძო მეურნეობას (2012-2018 წწ); 2018 წლის მარტიდან დაინიშნა მერის წარმომადგენლად კოჭბანის თემში.

– წლების განმავლობაში კოჭბანის თემში შემავალ სოფლებში ერთი და იგივე პრობლემები იყრიდა თავს: სასმელი წყლების შიდა ქსელების რეაბილიტაცია, ასევე, სათავე ნაგებობის მოწესრიგების საკითხი, წვიმისა და თოვლის წყლებისაგან დაზიანებული სოფლების შიდა გზების მოწესრიგება, მდინარეებზე არსებული ხიდების რეაბილიტაცია. ნაწილობრივ ეს პრობლემები იხსნებოდა, მაგრამ დროთა განმავლობაში თავს ისევ იჩენდა – რთული გეოგრაფიული მდებარეობისა და კლიმატური პირობების გამო. ჩვენი თემის სოფლების მოსახლეობიდან დიდი იყო მოთხოვნა – სარიტუალო დარბაზის მოსაწყობად, რომელიც 2014 წელს სოფელ სასადილოში

უნდა დაწყებულიყო, მაგრამ ეს პრობლემა კვლავ პრობლემად რჩება...

ჩვენი მუნიციპალიტეტის ახლადარჩეულმა მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა ჯერ კიდევ 2018 წლის იანვარში შეხვედრები დაიწყო ჩვენი თემის მოსახლეობასთან, ესაუბრა მათ და გამოკვეთა ის უმნიშვნელოვანესი საკითხები, რომლებიც პირველ ეტაპზე უნდა გადაწყვეტილიყო. ასე მოეწყო სოფელ კოჭბანში გარე განათება, რომელიც 38174 ლარით დაფინანსდა. დღეს ჩვენთან, სოფელ კოჭბანში მიმდინარეობს საბავშვო ბაღის შენობის მშენებლობა. კარგად მოგეხსენებათ, რომ აქ საბავშვო ბაღი გასული საუკუნის 80-იანი წლების ბოლოს აშენდა, მაგრამ მასში საჯარო სკოლა განთავსდა. აქაური ბავშვები კი საბავშვო ბაღის გარეშე აღმოჩნდნენ. გასულ წლებში ზოგი ბავშვი უჯარმის საბავშვო ბაღში დადიოდა, ახლა 5 ბავშვი გომბორის საბავშვო ბაღში დადის.

კოჭბანის საჯარო სკოლა
დირექტორი თამარ წიკლაური

სკოლის 9 საფინანსო კლასში 22 მოსწავლეა, რომელთა სწავლას 15 მასწავლებელი ემსახურება. სიმბოლურია და პირველ კლსშიც 1 მოსწავლეა და მეთორმეტეშიც – ერთი, ასევეა მე-5, მე-7, მე-11 კლასებშიც. ახლა მიმდინარეობს სკოლის ეზოში ახალი შენობის მშენებლობა, სადაც განლაგდება სააქტო დარბაზი და სამი საფინანსო კლასი.

* * *

სოფელ კოჭბანში საკლუბო მუშაობის სპეციალისტია ***ხათუნა მძელური***. საჯარო სკოლის მოსწავლეებისა და პედაგოგთა ჩართულობით აქ საინტერესო ღონისძიებები ტარდება.

სოფლის მეურნეობა

მწვანე შუქი სამეურნეო კოოპერატივებს
პირველი შედეგები იმედიანია

კოოპერაციული** მოძრაობა თანამედროვე სოფლის მეურნეობის განვითარების ნაცადი ბერკეტია, რომელიც ხელს უწყობს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის სიუხვესა და რა თქმა უნდა, კოოპერატივებში დასაქმებულთა მატერიალური კეთილდღეობას ამაღლებს. ამ მოძრაობამ და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებმა უკვე კარგა ხანია მოიკიდეს ფეხი ჩვენი რაიონის სინამდვილეშიც, რომელთა მუშაობის გამოცდილება კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ თუ ადამიანი მიზანსწრაფულად იღვწის დასახული მიზნისაკენ, სულ მცირედი დასაწყისითაც შესაძლებელია კარგი შედეგების მიღწევა. როცა ასეთ კოოპერატივებზე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურში საუბარი ჩამოვაგდეთ, მისმა მუშაკებმა ერთ-ერთ ასეთ წარმატებულ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივად გომბორის თემში მოქმედი მეცხოველეობის განხრის კოოპერატივი „პალდოველი-2014“ დაგვისახელეს, რომლის გამგეობის თავმჯდომარე გახლავთ ლეილა ციბროშვილი-ნეკრესელაშვილი. ამიტომ გადაწყდა, ჯ-ნი ლეილა მოგვეწვია გაზეთის ფურცლებზე იმ გამოცდილების, შედეგების გასაზიარებლად, რაც მათ კოოპერატივს გააჩნია თავისი დაარსების დღიდან. იგი ქვეყნის ხელისუფლების მიერ ამ კუთხით გატარებული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებების შედეგად სულ მალე გავა მოწინავე პოზიციებზე.

– კოოპერატივი „პალდოველი-2014“ დავაარსეთ 2014 წელს, რომლის ინიციატორიც პირადად გახლდით, – გვეუბნება კოოპერატივის გამგეობის თავმჯდომარე, – თავდაპირველად მასში 17 ადამიანი გაწევრიანდა და დაარსების პერიოდში საპაიო შენატანის სახით კოოპერატივში შევიყვანეთ რამდენიმე საფურე პირუტყვი. სადღეისოდ კი კოოპერატივში გაერთიანებულია 25 მეპაიე. კოოპერატორების 70% პროცენტი მისდევს მესაქონლეობას, მათ შორის ასევე არიან მექანიზატორები და მძღოლები. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივს უკვე ჰყავს 62 მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, აქვს მესაქონლეობის ორი ფერმა, 5 ერთეული მოტობლოკი, რომლებიც სახელმწიფოს მხრიდან გადმოგვეცა მათი ღირებულების 25%-ად. ასევე, 25 წლიანი იჯარით გადმოგვეცა 442 ჰა საძოვარი, ტრაქტორი და სხვა აგრეგატები.

კოოპერატივში ძირითად საქმიანობას მისი მეპაიეები ვაწარმოებთ, დამატებითი მუშახელის დაქირავება კი ზამთრისათვის საკვების დამზადებისა და მშენებლობის დროს გვიწევს.

– როგორც ცნობილია, გომბორი შეყვანილია მაღალმთიანი რეგიონების ნუსხაში. თუ სარგებლობს კოოპერატივი მაღალმთიანი რეგიონებისათვის დაწესებული შედავათებით?

– კი, როგორ არა. ისე როგორც სხვა ამგვარი რეგიონების კოოპერატივები, ჩვენც ვსარგებლობთ მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ კანონით მონიჭებული უფლებებით. ეს კანონი გვათავისუფლებს მოგების გადასახადიდან, ასევე გრანტის მიღების შემთხვევაში გათავისუფლებული ვართ გრანტის გადასახადიდან. ამ ტიპის კოოპერატივები გათავისუფლებული ვართ ქონების გადასახადიდანაც.

– ამ ორი წლის წინ თქვენმა კოოპერატივმა მონაწილეობა მიიღო სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს მიერ გამოცხადებულ კონკურსში, სადაც მოიპოვეთ სხვადასხვა სახის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა და აგრეგატები. რას გვეტყოდით ამ კონკურსში თქვენი წარმატების შესახებ?

– ეს კონკურსი ჩატარდა 2017 წელს „მაღალმთიანი რეგიონების სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სათიბ-საძოვრების რაციონალურად გამოყენების სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში. კონკურსში ჩვენმა კოოპერატივმა დააკმაყოფილა პროგრამით გათვალისწინებული ყველა მოთხოვნები და იმავე წლის დეკემბერში გადმოგვეცა შემდეგი სახის სასოფლო-სამეურნეო აგრეგატები: 2 სახის სათიბი, 1 ფოცხი, ბალახის საპრესი, გუთანი და ორხიდიანი მისაბმელი (ლაფეტი) 90%-იანი გრანტით.

– საუბრის დასაწყისში თქვენ სათიბ-საძოვრები ახსენეთ, ალბათ ისინიც ამ პროექტით მოიპოვეთ, არა?

– აღნიშნული 442 ჰა საძოვარი (როგორც ზამთრის, ისევე ზაფხულის) გადმოგვეცა 2018 წელს იჯარით, ხოლო მიმდინარე წელს 90%-იანი გრანტით მივიღეთ ტრაქტორი.

– წარმატებები, რაც კოოპერატივს დაარსების დღიდან გააჩნია და როგორ შეაფასებდით თქვენი მუშაობის შედეგებს?

– ზოგადად მესაქონლეობა, რომელსაც იწყებ მიზერული სახსრებით და ფინანსებით, თითქმის არაფრიდან, მოითხოვს დიდ შრომასა და მოთმინებას, მიზანსწრაფულობას შედეგის მიღწევამდე, რასაც, მე მგონი, ჩვენი კოოპერატორების გაერთიანებული ძალებით ნაწილობრივ უკვე მივაღწიეთ. როგორც ზემოთ აღვნიშნე, სადღეისოდ კოოპერატივში გვყავს 62 სული ადგილობრივი ჯიშის ფური, რომლებიც ამ გაზაფხულის დასაწყისიდან უკვე მოგვცემს ნამატს. აქვე მინდა დავძინო, რომ გასულ, 2018 წელს ჩვენმა კოოპერატივმა აწარმოა და რეალიზაცია გაუკეთა 17 ტონა ნედლ რძეს. ისე, რომ ნელ-ნელა, ნაბიჯ-ნაბიჯ, მაგრამ დაბეჯითებით მივდივართ კოოპერატივის მეპაიეთა წინაშე დასახული მთავარი მიზნისაკენ.

– და რა არის გომბორელი კოოპერატორების ეს მთავარი მიზანი?

– ჩვენი მთავარი მიზანია მაღალპროდუქტიული ფერმის მოწყობა, რაც სასარგებლო იქნება ზოგადად ქვეყნისათვის და ჩვენი კოოპერატივისთვისაც.

– როგორ ფიქრობთ, რამდენად მომგებიანი იქნება თქვენს მიერ წამოწყებული ბიზნესი?

– სადღეისოდ საქართველოში წარმოებული ნედლი რძე შიდა ბაზრის მოთხოვნის 7-8 პროცენტსაც ვერ აკმაყოფილებს. ამას ემატება ახალი რეგულაციები და კანონმდებლობა, რითაც მკაცრდება ამ სფეროში წარმოებული პროდუქციისა და მისი მწარმოებლების მიმართ მოთხოვნები. ამ და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით რძისა და საქონლის ხორცის წარმოება მომგებიანი ბიზნესია, მით უმეტეს ისეთი თემის დასახლებისასთვის, როგორიც გომბორია. აქ ხომ საუკეთესო პირობებია მეცხოველეობის განვითარებისათვის.

– როგორი ქნება თქვენი რჩევა ამ განხრით დამწყები კოოპერატივებისათვის?

– პირველ რიგში მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლიერება გამოვხატო მუნიციპალიტეტის საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის ყველა თანამშრომლის მიმართ, ჩვენი კოოპერატივისათვის უანგარო დახმარებისა და გვერდში დგომისათვის. ასევე, დიდ მადლობას ვუხდი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერს ბ-ნ გიორგი ერბოწონაშვილს ჩვენი კოოპერატივის თანადგომისა და მხარდაჭერისათვის. რაც შეეხება ჩემს რჩევას ამ განხრის კოოპერატორებისათვის, მე ზემოთ საუბარშიც აღვნიშნე, რომ ეს ბიზნესი მომგებიანია და ღირს ადამიანმა სერიოზულად მოჰკიდოს მას ხელი.

ესაუბრა *გივი დაბახიშვილი*

სურათებზე: კოოპერატივი „პალდოველი-2014“-ის თავმჯდომარე ლეილა ციგროშვილი და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს საგარეჯოს საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახურის თანამშრომლები.

ემზადებიან რწყვის სეზონისათვის
წესრიგდება საირიგაციო სისტემები

ზამთარმა** თავისი ვადები ისე ამოწურა, ნალექი არ მოსულა ივრისპირეთში. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ზაფხულის პიკის დროს ორმაგი დატვირთვით მოუწევს მუშაობა ქვემო სამგორის სერვისცენტრის საირიგაციო სისტემებს, რადგან ჩვენს სინამდვილეში ზაფხულის გვალვებთან საბრძოლველად გარეკახელ მინდვრის მშრომელებს სხვა ალტერნატიული საშუალება არ აქვთ. იმის შესახებ, თუ რას აკეთებს სერვისცენტრის ხელმძღვანელობა იმისათვის, რომ წარმატებით გაართვას თავი მიმდინარე წელს სამსახურის მუშაკების წინაშე მდგომ ამოცანებს – დროულად და შეუფერხებლად მიაწოდოს სარწყავი წყალი ბენეფიციარებს, ამის შესახებ გვესაუბრება აღნიშნული ცენტრის წყალსარგებლობის ინჟინერი ძმითმანა კუჭუშაშვილი:

– 2018 წელს ქვემო სამგორის სერვისცენტრი მოემსახურა 2551 წყალმოსარგებლე ბენეფიციარს და საერთო ჯამში მოირწყა 4096 ჰა-ზე არსებული სხვადასხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურები, – ***აღნიშნა მან.*** – როგორც მოგეხსენებათ, 2017 წელს მსოფლიო ბანკის დაფინანსებით ჩატარდა სერვის ცენტრის მარჯვენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა გასულ წელს ჩვენი ბენეფიციარებისათვის სერვის-ცენტრის მიერ განხორციელებული მომსახურების დონე.

იგეგმებოდა 2018 წელს მსოფლიო ბანკის მიერ მარცხენა მაგისტრალური არხის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ეს სამუშაოები არ ჩატარებულა. სამაგიეროდ, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაკვეთით, რეაბილიტაცია ჩაუტარდა ამ არხის 14 კილომეტრიან მონაკვეთს.

ასევე, მიმდინარე რემონტები ჩაუტარდა შიდა სარწყავ ქსელებს გ-1 გამანაწილებლიდან გ-8-ს ჩათვლით. გ-34-2 ქსელზე მთლიანად ჩატარდა მიმდინარე რემონტი. სოფელ მზისგულში 39-ე გამანაწილებელზე მოწყობილია დამატებითი ქსელი, სავალი გზის ქვეშ. მიმდინარე რემონტი ჩაუტარდა ჩაილურში გ-24 გამანაწილებლის მეორე რიგის გამანაწილებლებს.

მიმდინარე რემონტები ტარდება მარჯვენა მაგისტრალური არხის გამანაწილებლებზე. კერძოდ, ეს სამუშაოები უკვე დამთავრდა 33-ე გამანაწილებელზე. გათვალისწინებულია სოფელ ხაშმის გამანაწილებლის რემონტიც. ერთი სიტყვით, ჩვენთან გაცხოველებული სამზადისია იმისათვის, რომ გაზაფხულის გვალვებს, რომელთა დადგომას უნალექო ზამთრის გამო ჩვეულებრივთან შედარებით ადრე უნდა ველოდოთ, ჩვენი საირიგაციო სისტემები სრული მზადყოფნით უნდა შეხვდნენ და მიმდინარე წლის რწყვის კამპანია რაიმე არსებითი ხარვეზების გარეშე ჩატარდეს.

როგორც ცნობილია, ჩვეულებრივად რწყვის კამპანია ივნისის დასაწყისიდან იწყება ხოლმე, მაგრამ ნალექების უქონლობის გამო ამჟამად მიმდინარეობს საშემოდგომო თავთავიანების რწყვა და ხელშეკრულება გაფორმებულია 1273 ჰექტარ სავარგულზე.

ჩაიწერა *გივი დაბახიშვილმა*

მუნიციპალური გვერდი

ტერიტორიული ორგანო

უ ჯ ა რ მ ა

უჯარმა
კომლი – 479
მოსახლეობა – 860
პალდო
კომლი – 41
მოსახლეობა – 58
მუხროვანი
კომლი 56
მოსახლეობა – 75
საძოვრების ფართობი – 295 ჰა
სახნავ-სათესი – 400 ჰა
ერთწლიანი კულტურები – 10 ჰა-ზე
მრავალწლიანი – 5 ჰა
თემში მერის წარმომადგენელი
დავით აბელაშვილი

დაიბადა *1983 წელს*

განათლება – *2004-2009 წლებში სწავლობდა თსუ ეკონომიკის ფაკულტეტზე.*

სამუშაო გამოცდილება: – *2011-2014 წლებში მსახურობდა საკონტრაქტო სამსახურში. 2014 წლის სექტემბრიდან მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელია უჯარმის თემში.*

– **ჩვენი** თემის სოფელ უჯარმის მოსახლეობა ხაშმში არსებული ე.წ. „ლაფიანხევის“ სასმელი წყლის სათავიდან მარაგდება. აღნიშნული მაგისტრალი ხშირად საჭიროებს შეკეთებას. იყო წლები, როცა მოსახლეობა თვეობით ვერ იღებდა აქედან სასმელ წყალს. საჭირო იყო მთლიანი მაგისტრალის სრული რეაბილიტაცია, რადგან იგი გასული საუკუნის 50-იან წლებში იყო გაყვანილი და მას შემდეგ მისი ამოცვლა არც მომხდარა. 2014 წლიდან დავიწყეთ საამისოდ საჭირო ოფიციალური ცნობების შეკრება და გამგეობის წინაშე დაყენება. მაგისტრალის ამოცვლას საერთო პრობლემური რელიეფიც ართულებდა.

რამდენიმე უბანში მოწესრიგდა სარწყავი არხი.

გაყვანილი იქნა სასმელი წყლის სისტემა და 40 ოჯახს მიეწოდა წყალი.

რამდენიმე ადგილას ამოიცვალა წყლის დაზიანებული მილები.

– **შემოიღობა** სოფელ პალდოში სასაფლაო და მოწესრიგდა მისასვლელი გზა, მაგრამ, ეს გზები უხვი ნალექების შემდეგ კვლავ მოწესრიგებას ითხოვს. ჩვენი სოფლების გაზიფიცირების შემდეგ მნიშვნელოვნად დაზიანდა საუბნო გზები, რომლებიც „სოკარ-გაზს“ უნდა მოეწესრიგებინა, მაგრამ მათ დღემდე თავიანთი პირობა არ შეუსრულებიათ.

მოსაგვარებელი საკითხები:

– **დღეს** სოფელ მუხროვანში ასასვლელი გზა საჭიროებს მოხრეშვას ან გრეიდერით მოსწორებას.

– **სოფელ** მუხროვანში კვლავ გვაქვს სასმელი და სარწყავი წყლით მოსახლეობის მომარაგების პრობლემა;

– **სოფელ** მუხროვანში საჭიროა გარეგანათების მოსაწყობად დაახლოებით 10 ნათურის დამონტაჟება.

– **სოფელ** უჯარმაში სასმელი წყლის დასარეგულირებლად საჭირო გახდა ორი წყალშემკრების მოწყობა.

– **სოფელ** უჯარმის ცენტრალური ქუჩის სრულყოფილად განათებისათვის დამატებით კიდევ საჭიროა გარე განათების 5 ნათურის დაყენება.

– **საჭირო** და აუცილებელია თემის ადმინისტრაციული შენობის სახურავის შეკეთება. აღნიშნულ შენობაში ასევე განთავსებულია მოქმედი საექიმო ამბულატორია და გაუქმებული სასოფლო ბიბლიოთეკა წიგნადი ფონდით.

– **გასული** წლიდან მუნიციპალიტეტში დაიწყო საბავშვო ბაღების შენობების რეაბილიტაცია, ჩვენს საბავშვო ბაღშიც კეთილმოეწყო სამზარეულო და პროდუქტების შესანახი ოთახი.

საექიმო ამბულატორია

მარიამ წოწკოლაური – *ოჯახის ექიმი:*

– **ვემსახურებით** სამ ძირითად სოფელს – უჯარმას, პალდოს, მუხროვანს და ეგრეთწოდებულ მებაღეობის დასახლებებს, რომლიც ჩვენს ტერიტორიაზე დაახლოებით შვიდია, ძირითადად პენსიონერებით დასახლებული.

მოსახლეობის საერთო რაოდენობით 822 ბენეფიციარია, აქედან 0-1 წლამდე სამი ბავშვია, 0-18 წლამდე – 69. დანარჩენი – 18 წლის ზევით. სოციალურად დაუცველთა რიცხვია 93, პენსიონერთა რაოდენობა – 160.

ვმუშაობთ სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამით „ამბულატორიული მომსახურება სოფლად“.

ვირუსების სეზონმა ჩვენთან მშვიდად ჩაიარა. შემთხვევები გახშირებული იყო, მაგრამ მიმდინარეობდა ჩვეულებრივი მწვავე ვირუსული დაავადებების სიმპტომებით. ხუთი შემთხვევა გვქონდა (ბავშვებში) ბრონქოპნევმონიის დიაგნოზით, სადაც სტაციონარული მკურნალობა დაგვჭირდა.

წითელას შემთხვევა არ გვქონია. ჩვენთან ასაკის მიხედვით აცრები ჩატარებული გვაქვს ყველა ბავშვზე. მასიური აცრები ჩავატარეთ 2018 წელსაც. მაქსიმალურად მოვიცავით სამიზნე კონტიგენტი – მათი სურვილის მიხედვით, რა თქმა უნდა. ამ ეტაპზე აცრა ჩაუტარდა სკოლის ოთხ მოსწავლეს, რომლებიც ჩვენს უბანზე მოვიდნენ წითელაზე აუცრელი და ორ მოზარდს, რომლებიც საკუთარი სურვილით მოვიდნენ. მსურველები კიდევ გვყავს და ვაგრძელებთ აცრებს.

ჩვენს ამბულატორიას გამგეობის შენობაში უკავია ორი ოთახი.

ათი წლის წინ, პრეზიდენტის გრანტით და ჩვენი საკუთარი სახსრებით შევძელით საფუძვლიანი სარემონტო სამუშაოების ჩატარება. შევაკეთეთ კარ-ფანჯარა, კედლები, ჭერი, იატაკი. გავაკეთეთ ახალი ელექტროგაყვანილობა, წყალ-საკანალიზაციო სისტემა.

ვართ შენობის პირველ სართულზე. ზედმეტად ნესტიან ოთახებში, რომელიც ათი წლის განმავლობაში საგრძნობლად შეილახა, ისე, რომ ჩვენი ძალებით მსუბუქი კოსმეტიკური რემონტიც რომ არ ეყოფა.

ძალიან გვინდა ისევ წკრიალა და სუფთა ამბულატორია გვქონდეს, მაგრამ სპონსორი ჯერჯერობით არ ჩანს.

გვაქვს გათბობის პრობლემა ზამთრის სეზონზე. ამჟამად ჩვენი სოფლის გაზიფიცირება მიმდინარეობს. ვფიქრობდით ჩვენც ვისარგებლებდით ამით, მაგრამ გვითხრეს, რომ ჩვენთვის ხელმისაწვდომი არ ყოფილა.

საბავშვო ბაღი

უჯარმის საბავშვო ბაღის შენობა ექსპლოატაციაში 1973 წლიდან შევიდა. შენობა მკვრივადაა ნაგები, ისე, რომ წლებმა მას ვერაფერი დააკლო, თუმცა 2012 წელს იმავე ტერიტორიაზე ახალი შენობა ააგეს, რომელიც დღემდე გამოუყენებელია და ინგრევა, რადგანაც საძირკველი მცოცავ ქანზე დგას და კედლები ისე დაცილდა ერთმანეთს, გარეთ მყოფი ადვილად დაათვალიერებს შიდა მხარესაც. ამასთან, კანალიზაციის ჭა შენობის პირველ სართულთან შედარებით უფრო მაღლა „მოაწყეს“ და... ისე, რომ ის თანხა (60000 ლარი), რაც მაშინ ახალი შენობის ასაგებად გაიხარჯა, კარგი იყო ძველს მოხმარებოდა.

საბავშვო ბაღის მენეჯერია **მანანა აბშრჯანია.**

საბავშვო ბაღში დღეს 29 აღსაზრდელია. მათი აღმზრდელ-პედაგოგია მანანა ბურდულაძე-სონიძე, აღმზრდელის თანაშემწეა ირინა ჭუმბურიძე, მზარეული ირმა ვაწაძე, მედდა თამარ ნიკოლოზაშვილი, დამლაგებელი ინგა სამხარაძე.

გასულ წელს საბავშვო ბაღში კეთილმოეწყო სამზარეულო, სათავსო, გამოიცვალა სახურავი. მიმდინარე წელს უკვე მზადდება პროექტი შენობის შიდა და გარე კაპიტალური რემონტისათვის.

საჯარო სკოლა

უჯარმის საჯარო სკოლაში (დირექტორი ნინო დათუნაშვილი) 9 საფინანსო კლასსა და ერთ კლას-კომპლექტში სულ 52 მოსწავლეა. პირველ კლასში არც ერთი მოსწავლე არ ირიცხება, XII-ში 3 მოსწავლეა. სკოლაში 17 პედაგოგი მოღვაწეობს.



მუნიციპალური გვერდი

ტერიტორიული ორგანო
გ ო მ ბ ო რ ი

საძოვრების ფართობი – 1846 ჰა
სახნავ-სათესი – 331 ჰა
ერთწლიანი კულტურები – 37 ჰა-ზე
მრავალწლიანი – 42 ჰა

***გომბორის** თემში ხუთი სოფელია გაერთიანებული: თავად **გომბორი**, (423 კომლითა და 903 მოსახლით) **რუსიანი** (55 კომლითა და 87 მოსახლით); **ვერონა** (61 კომლითა და 103 მოსახლით); **ასკილაური** (83 კომლითა და 132 მოსახლით), **ვაშლიანი** (22 კომლითა და 25 მოსახლით). სოფლები რუსიანი და ვერონა გომბორის ადმინისტრაციული შენობიდან 5,5 კმ-ითაა დაშორებული, ასკილაური – 1 კმ-ით.*

აქაური მოსახლეობა ისეთივე ცხოვრების რიტმით ცხოვრობს, როგორც მთის ზონის მოსახლეობას შეეფერება: ხნავენ, თესავენ, უვლიან საკარმიდამო ნაკვეთებს, მისდევენ მესაქონლეობას, მოჰყავთ ბოსტნეული. თუმცა სოფლები, სხვა ქართული სოფლების მსგავსად დაცარიელდა, ზოგი ქალაქად „გაიხიზნა“, ზოგმაც ემიგრანტის სტატუსი ირჩია და იქიდან არჩენენ ოჯახს.

სოფელ გომბორში 50-იან წლებში გაყვანილი სასმელი წყლის 12 კმ-იანი მილების შეცვლა მხოლოდ 1999 წელს მოხერხდა, ისიც უცხოური არასამთავრობო ორგანიზაცია „ამქორის“ დაფინანსებით, რაც მთელი 50 წლის მანძილზე პირველად მოხდა. 2000 წელს სოფელ ასკილაურის ქვედა უბანში შევიდა სასმელი წყლის ახალი მაგისტრალი და გაკეთდა წყალშემკრები აუზიც. რუსიანი-გომბორის მიმართულებით კომპანია „მერსი ქორის“ დაფინანსებით 2001 წელს გაიყვანეს სასმელი წყლის 5.5 კმ-იანი მაგისტრალი. ასევე, მათი დაფინანსებით მოხდა გომბორის სამი უბნის, ვერონის, რუსიანის გზების მოხრეშვა. 2014 წელს აქ სათავე-ნაგებობისა და ქსელის მოწყობა-რეაბილიტაციის სამუშაოები ჩატარდა. ვერონაში, ვაშლიანში დასრულდა სასმელი წყლის შიდა ქსელის რეაბილიტაცია. ვაშლიანში დასრულდა სანიაღვრე არხების გაწმენდითი სამუშაოები, ასკილაურში – სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის მოწყობა-რეაბილიტაცია.

დეპუტატი
დავით არაბული

დაიბადა 1973 წელს.

განათლება – თბილისის „ღია ჰუმანიტარული ინსტიტუტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი.

სამუშაო გამოცდილება – 1995 წლიდან 1998 წლამდე მუშაობდა სოფელ გომბორის გამგეობაში ინჟინრის თანამდებობაზე. 1998 წლიდან აირჩიეს გომბორის თემის გამგებლად. 2010 წლიდან დღემდე არჩეულია საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მაჟორიტარ დეპუტატად გომბორის თემიდან. მისი თქმით:

– **გომბორის** თემში ბოლო წლებში ეტაპობრივად კეთდება – რიგი კარგი საქმეები, მაგრამ არის კიდევ ჯერ-ჯერობით მოუგვარებელი საკითხები, რომლებიც უახლოეს მომავალში, ალბათ ერთი წლის მანძილზე მოწესრიგდება. აი, ისინიც:

– **გომბორსა** და შუა **ასკილაურში** საჭიროა სასმელი წყლის პრობლემის მოგვარება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ სოფელს გააჩნია სასმელი წყლის დებეტი, ოღონდ, საჭიროა ერთ წყალშემკრებ ნაგებობაში აღნიშნული წყლის შეგროვება და შემდეგ შესაძლებელი იქნება მისი მოსახლეობაში განაწილება.

– **გომბორის** თემში სპორტის განვითარებისათვის (ჩვენი თემის სოფლების ახალგაზრდების, საჯარო სკოლის მოსწავლეებისაგან სწორედ ეს მოთხოვნაა) საჭიროა სპორტული დარბაზის გახსნა. მოგეხსენებათ, გომბორის თემის საკრებულოს ყოფილ ადმინისტრაციულ შენობაში საკმაო ფართია ამისათვის. საამისოდ უკვე დაწყებულია მთელი რიგი სამუშაოები აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სპორტგაერთიანების“ ხელმძღვანელობიდან – ყოფილი კულტურის სახლში ხდება რეკონსტრუქცია სპორტული დარბაზის სახის მისაცემად – აიყარა იატაკი, ჩაისვა მეტალოპლასტმასის ფანჯრები, მალე გაგრძელდება სამუშაოები, რადგან თემის მოსახლეობასთან შეხვედრისას საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი ერბოწონაშვილმა აქაურებს სპორტული დარბაზის მოწყობის პირობა მისცა. ჩვენ გვჯერა მისი პირობის.

– დღევანდელ პირობებში გომბორის თემი ***გაზიფიცირების*** გარეშეა. ვფიქრობ, უახლოეს ხანში ეს საკითხიც მოგვარდება, რადგან უკვე უჯარმაში დამთავრდა მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგების საკითხი.

– ***თემის*** მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ვერ სარგებლობს მთის ზონის მოსახლეობისათვის მინიჭებული სტატუსით და „მთის კანონით“ გათვალისწინებული შეღავათებით. ეს ალბათ მალე მოწესრიგდება და ყველაფერი დალაგდება.

– ***გომბორში*** არსებობს სამამულო ომის მონაწილეთა ხსოვნის უკვდავსაყოფად მემორიალი, რომელიც წლების განმავლობაში კლიმატური პირობების გამო დაზიანებულია, მისი შეკეთება-რეაბილიტაციის აუცილებლობა დღეს დღის წესრიგში უკვე მთელი სიმწვავით დგას.

– **აუცილებელია** გომბორის სასმელი წყლის სათავე-ნაგებობის შეკეთება;

– ე.წ. „თათრების უბნის“ სასმელი წყლის სათავე ნაგებობის შეკეთება;

– სასაფლაოს შემოღობვის დასრულება;

– საუბნო გზების მოხრეშვა;

ზემოთ ჩამოთვლილი საკითხები კარგადაა ცნობილი ჩვენი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობისათვის და ამაზე

შესაბამისი რეაგირებაც უკვე არის. ისე, რომ მიმდინარე წელს აღნიშნული საკითხები მოგვარდება.

მერის წარმომადგენელი ნოშრევან ნეკრესელაშვილი დაიბადა 1963 წელს;

1980 წელს დაამთავრა გომბორის საშუალო სკოლა;

სამუშაო გამოცდილება: 1980-1982 წლებში მუშაობდა გომბორის საბჭოთა მეურნეობაში მუშად, 1984-1990 წლებში – გომბორის მეხილეობისა და მეცხოველების საბჭოთა მეურნეობაში მძღოლად, 1990-1996 წლებში – შს საგარეჯოს რაიგანყოფილებაში – უბნის ინსპექტორად, 1996-2006 წლებში ცხოვრობდა რუსეთში, 2006 წლიდან ეწეოდა კერძო მეურნეობას

სოფელ ასკილაურში, 2010-2012 წლებში იყო გომბორის რწმუნებული. 2014 წლის სექტემბრიდან არის მერის წარმომადგენელი გომბორის თემში.

– **საგარეჯოს** მუნიციპალიტეტის მთის ზონის სოფლებშიც ისეთივე პრობლემებია, როგორც საქართველოს მთის ზონის სხვა სოფლებში – დასაქმების პრობლემა, თუმცა ჩვენი თემის მოსახლეობა ყველანაირად ცდილობს იმ საქმეს მოჰკიდოს ხელი, რომელიც ბუნებრივ კლიმატურ პირობებს იქნება შეხამებული და ოჯახსაც სიკეთეს მოუტანს. თითქმის ყველა ოჯახს ჰყავს აქ პირუტყვი, ფრინველი, ამუშავებს ბოსტანს, თესავს ქერს, ხორბალს...

ჩვენს თემში არსებულ პრობლემებზე უკვე ისაუბრა ჩვენი თემის მაჟორიტარმა დეპუტატმა გასულ წელს უკვე ისეთი საკითხების მოგვარება დაიწყო, რომელსაც ჩვენი თემის მოსახლეობა ათეული წლებია ელოდებოდა – ასე, მაგალითად, გომბორის საბავშვო ბაღში, სადაც დღეს 28 აღსაზრდელია, გასულ წელს განხორციელდა სამზარეულოსა და სველი წერტილების მოწყობა-რეაბილიტაცია, რამაც ერთიანად შეცვალა ჩვენი მომავალი თაობის ის გარემო, სადაც ისინი თავიანთი ბავშვობის წლებს ატარებენ. საამისოდ 6 ათასი ლარი გაიხარჯა, ასევე, აქ მოეწყო სათადარიგო-საევაკუაციო გასასვლელები, რაზედაც 6892.80 ლარი გაიხარჯა.

გომბორში

– მოეწყო გარე განათება, რაზედაც 83568 ლარი იყო გამოყოფილი.

საბავშვო ბაღი

გ ო მ ბ ო რ ი ს საბავშვო ბაღი გომბორის ყოფილ, ძველ ადმინისტრაციულ შენობაშია განთავსებული. ბაღის მენეჯერი **თამარ ნეკრესელაშვილი** 1983 წლიდან აქ ჯერ პედაგოგიურ მოღვაწეობას შეუდგა, შემდეგ კი 1997 წლიდან დღემდე საბავშვო ბაღის მენეჯერია.

დღეს საბავშვო ბაღის ერთ ჯგუფში 32 აღსაზრდელია, რომელთაც ყოველ დღე საინტერესო დღის წესრიგით ხვდებიან აღმზრდელ-პედაგოგი თამარ ფიცხელაური, მისი თანაშემწე მზექალა ზვიადაური, მზარეული ნათია ზვიადაური, დამლაგებელი ელმირა მირნალდიევა და ექთანი მანანა გიგაური.

– წლების წინ შენობა სერიოზულ რეაბილიტაციას მოითხოვდა, – მეუბნება საუბარში ქნი თამარი. 2017 წელს შენობა მთლიანად – შიგნიდან და გარედანაც გარემონტდა, უფრო სწორად რომ ვთქვათ, მოხდა მთელი შენობის რეაბილიტაცია, კეთილმოეწყო სამზარეულო. დღეისათვის ჩვენს სამზარეულოში მხოლოდ გამწოვი მილის შეცვლაა საჭირო, ამასთან ეზოს კეთილმოწყობა სჭირდება, გვაქვს ეზოს სათამაშოები, ამიტომ აუცილებელი ხდება ეზოს მესერის გაახლება. ჩვენი აღსაზრდელები ყოველთვის გრძნობენ ჩვენი მუნიციპალიტეტისა და აიპ „საგარეჯოს მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა გაერთიანების“ ხელმძღვანელობისგან ყურადღებას და თანადგომას. ვიმედოვნებთ, რომ უახლოეს მომავალში ჩვენი ეზოც კეთილმოეწყობა.

გომბორის საჯარო სკოლა

(დირექტორი ზურაბ ქისტაური)

საფინანსო კლასების რაოდენობა – 12

მოსწავლეთა რაოდენობა – 99

მათგან:

ა) პირველკლასელი – 8;

ბ) მეთორმეტეკლასელი – %

მასწავლებელთა რაოდენობა – 22

მე-2-5 გვერდები მოამზადა თინა-თინ ილაურმა

განათლება

ახალი მეთოდი

რა გამოცდები გაუქმდა და რის ჩაბარება მოუნევთ მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს?

***შეფასებისა** და გამოცდების ეროვნულმა ცენტრმა წარმოადგინა გამოცდების ახალი მოდელი, რომელიც როგორც საატესტატო, ისე ეროვნულ გამოცდებს ეხება. იდეის ავტორები განმარტავენ, რომ რეფორმა ორ ეტაპად განხორციელდება. 2019 წელი ერთგვარი მოსამზადებელი პერიოდი იქნება, 2020-ში კი სიახლეები დაინერგება. თუმცა იმასაც დასძენენ, რომ უმაღლეს სასწავლებლებთან, სკოლებთან, განათლების ადგილობრივ თუ საერთაშორისო ექსპერტებსა და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციები გრძელდება და ეს რეფორმის საბოლოო ვერსია არ არის. იქამდე კი დაისვა ბევრი კითხვა, გამოითქვა არაერთი კრიტიკული თუ მხარდამჭერი მოსაზრება. და მაინც, რას გულისხმობს გამოცდების ახალი მოდელი?*

რა იცვლება 2019 წელს?

– **თუ** გასულ წელს მე-11 და მე-12 კლასელებს, ჯამში, 8 საატესტატო გამოცდა უნდა ჩაბარებინათ, წელს მათ ეგრეთ წოდებული ჩ თ-ის გამოცდების ჩაბარება აღარ მოუწევთ. ეს იმას ნიშნავს, რომ სკოლა ატესტატს მოსწავლის აკადემიური მოსწრების მიხედვით გასცემს. იმისათვის, რომ მოსწავლემ ატესტატი მიიღოს, ყველა საგანში მისი საბოლოო შეფასება უნდა იყოს დადებითი, რაც, სულ ცოტა, 5 ან მეტ ქულას გულისხმობს. იმ მოზარდებს, რომლებიც შარშან მე-11 კლასში იყვნენ და საატესტატო გამოცდა ვერ ჩააბარეს, ან არ გამოცხადდნენ, შეუძლიათ ატესტატის აღება, თუ მათ ყველა საგანში დადებითი შეფასება - 5 ან მეტი ქულა ექნებათ.

2019 წელს ერთიანი ეროვნული გამოცდების მიმართულებით ძირეული ცვლილებები არ იგეგმება. აქ მხოლოდ შეიცვლება წესი, რომლის მიხედვითაც, თუკი აბიტურიენტი არჩევით საგნად რამდენიმე დისციპლინას მიუთითებდა და ერთ-ერთ მათგანში ჩაიჭრებოდა, ან გამოცდაზე არ გამოცხადდებოდა, ის გრანტის მიღების შესაძლებლობას კარგავდა. შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ამ მიდგომას უსამართლოდ მიიჩნევს და წელს ამ მიმართულებით ცვლილებას გეგმავს.

– რა შეიცვლება 2020 წელს?

– 2020 წელს მისაღები გამოცდები სამ სავალდებულო საგანში ჩატარდება. ქართული ენა-ლიტერატურის და უცხო ენის ჩაბარება ყველა აბიტურიენტს მოუწევს. მესამე სავალდებულო საგანი კი არჩეული მიმართულების მიხედვით განისაზღვრება. ტექნიკური დარგის პროფესიის არჩევისას აბიტურიენტი მათემატიკას ჩააბარებს, ჰუმანიტარულის შემთხვევაში კი - ისტორიას.

თუმცა აბიტურიენტი კვლავინდებურად არ იქნება შეზღუდული თავის არჩევანში და სასურველ პროფესიათა ჩამონათვალში როგორც ტექნიკური, ისე ჰუმანიტარული მიმართულების პროგრამების მითითებას შეძლებს. შესაბამისად, ის შეძლებს ერთდროულად ისტორიისა და მათემატიკის ჩაბარებას, თუ რა თქმა უნდა, ამის სურვილი და უნარი აქვს.

2020 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდების სავალდებულო საგანთა ჩამონათვალში აღარ იქნება უნარების გამოცდა. თუმცა უნივერსიტეტებს შეეძლებათ კონკრეტული მიმართულების მიხედვით დაამატონ ან უნარების გამოცდა, ან ამა თუ იმ სპეციალობაზე მათთვის პრიორიტეტული საგანი. ამავდროულად, უნარების გამოცდა იქნება არჩევით საგანთა ნუსხაში.

2020 წელს შეიცვლება საგრანტო დაფინანსების წესიც, რაც სავალდებულო საგანთა ახალი ნუსხის გათვალისწინებას გულისხმობს. თუ კონკრეტულად როგორი იქნება საგრანტო დაფინანსების წესი, ამ საკითხზე შეფასებისა და გამოცდების ეროვნულ ცენტრში მუშაობენ. როგორც უწყებაში აცხადებენ, ახალი მიდგომის ჩამოყალიბებისას აბიტურიენტების ინტერესები მაქსიმალურად იქნება გათვალისწინებული. 2020 წლისთვის მისაღები გამოცდების საკითხების სკოლის პროგრამასთან დაახლოებაც იგეგმება. განათლების მინისტრის განმარტებით, თუ ორიენტაცია კეთდება სკოლაზე, არ შეიძლება სკოლის პროგრამასა და მისაღები გამოცდების თემატიკას შორის დიდი სხვაობა იყოს. ამიტომაც უწყება ამჟამად არსებული განსხვავების მინიმუმამდე დაყვანას გეგმავს.

აზერბაიჯანულ და სომხურენოვანი აბიტურიენტებისთვის არც წელს და არც მომავალ წელს ქართულთან მიმართებით არაფერი იცვლება. როგორც ამჟამად მოქმედი კანონით არის გათვალისწინებული, მათი ჩარიცხვა ძველი ფორმატით გაგრძელდება. რაც შეეხება ოსურ და აფხაზურენოვან აბიტურიენტებს, გასული წლის ზაფხულში მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, ისინი უნარების ტესტის მსგავსად, ოსური ან აფხაზური ენის ტესტს ჩააბარებენ. აღსანიშნავია, რომ სავალდებულო საბაზო განათლება, რომელიც აქამდე 9 კლასით განისაზღვრებოდა, 10 წლამდე გაიზრდება.

– რა არის ამ ცვლილებების მიზეზი და მიზანი?

– ახალი მოდელის დანერგვის მიზნად შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი ოთხ კომპონენტს ასახელებს: სკოლის როლის გაძლიერება, ორიენტირება შედეგზე და არა გამოცდაზე, უნივერსიტეტების ავტონომიის ეტაპობრივი ზრდა და მშობელთა დანახარჯის შემცირება. რეფორმის ავტორები იმასაც აღნიშნავენ, რომ ცვლილებები სპეციალური კვლევებისა და შესაბამისი კონსულტაციების საფუძველზე მომზადდა.

უმთავრესი ფაქტორი, რომელსაც ახალი საგამოცდო მოდელის ავტორები ასახელებენ, არის ის, რომ მოსწავლეებს, სულ ცოტა, 12 გამოცდის ჩაბარება უწევდათ საატესტატო და ეროვნული გამოცდების გათვალისწინებით. რეფორმის მიხედვით კი ეს ზღვარი 3-მდე შემცირდება. მხოლოდ გამოცდებზე კონცენტრაციამ კი, ახალი საგამოცდო მოდელის ავტორთა თქმით, სკოლის როლი დააკნინა. სასწავლო პროცესმა სკოლის გარეთ, კერძო რეპეტიტორებთან გადაინაცვლა და ამან, თავის მხრივ, მოსწავლეები არათანაბარ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგან ეს მათ სოციალურ მდგომარეობას პირდაპირ უკავშირდება. სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, 1000 ლარზე მეტი შემოსავლის მქონე ოჯახების 80%-ზე მეტი შვილს კერძო რეპეტიტორთან ამზადებს, მაშინ როცა 400 ლარისა და ნაკლები შემოსავლის მქონე ოჯახების მხოლოდ 30% ახერხებს იმავეს. როგორც რეფორმის ავტორები განმარტავენ, სკოლის მიტოვების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი იყო მეათე კლასში, რადგან სწორედ მე-11 კლასიდან იწყებოდა საატესტატო გამოცდები. 13%-ზე მეტი მეათეკლასელი მოსალოდნელი გამოცდების „შიშით“ სწავლას თავს ანებებდა.

– რატომ და ვისგან ისმის კრიტიკული შენიშვნები?

– გამოცდების ახალმა მოდელმა საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რეფორმისადმი კრიტიკულად განწყობილი ადამიანები მიიჩნევენ, რომ საატესტატო გამოცდების მოხსნით სკოლაში არსებული პრობლემა არ მოგვარდება. მათი აზრით, რეფორმა სასწავლო პროცესს უნდა შეეხოს და უფრო ძირეული ცვლილებები განხორციელდეს, ვიდრე ეს გამოცდის მოხსნა, შეცვლა ან დამატება იქნება. მშობელთა და სპეციალისტთა ნაწილის აზრით, როდესაც საუბარია სკოლის როლის გაძლიერებაზე ან შედეგზე ფოკუსირებაზე, აუცილებლად გასათვალისწინებელია ეროვნულ სასწავლო გეგმაში არსებული ხარვეზები, კვალიფიციური პედაგოგების ნაკლებობა, კლასში მოსწავლეთა გადაჭარბებული რაოდენობა და ა.შ.

კერძო რეპეტიტორების საკითხთან დაკავშირებითაც აზრი ორად იყოფა. მშობლებისა და მოსწავლეების ნაწილის აზრით, სკოლა რომ იძლეოდეს შესაბამის ცოდნას, ამის საჭიროება არ დადგებოდა. თუმცა მეორე მხრივ, პედაგოგები მოსწავლეების დაბალ მოტივაციასა და პასუხისმგებლობის დაბალ ხარისხზე საუბრობენ.

რას გვეუბნება ციფრები?

2019 წლის მონაცემებით, მასწავლებელთა საერთო რაოდენობამ მთელი ქვეყნის მასშტაბით 65 281 შეადგინა. აქედან 7 826 პედაგოგი კერძო სკოლაში მუშაობს, 57 455 კი - საჯაროში. საპენსიო ასაკის მასწავლებელთა რაოდენობამ 16 014 შეადგინა.

2018 წელს მთელი საქართველოს მასშტაბით 39 529-მა მოსწავლემ დაამთავრა სკოლა, სტუდენტი გახდა - 27 906. ოდნავ განსხვავებული მონაცემები იყო 2017 წელს, როდესაც სკოლა 38 803-მა მოსწავლემ დაამთავრა და სტუდენტი 28 176 გახდა.

ჩვენს მუნიციპალიტეტში

ინფრასტრუქტურა-2019

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტოს შპს „საქართველოს მელიორაცია“ კახეთში, ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის რეაბილიტაციას ახორციელებს.

მიმდინარეობს წყალგამანაწილებელი არხის 9 კმ სიგრძის მონაკვეთის რეაბილიტაცია.

სამუშაოების ფარგლებში მოეწყო სხვადასხვა დიამეტრის ფოლადის მილები;

ამ დროისთვის მიმდინარეობს მილხიდების, მონოლითური ბეტონის წყალგამშვები ჭებისა და ღარების საყრდენი ფილების მონტაჟის სამუშაოები.

ტერიტორია დაფარული იყო მცენარეებითა და ბუჩქნარით, ამორტიზებული არხი წლების მანძილზე არ ფუნქციონირებდა.

ტერიტორიის გაწმენდისა და მოწესრიგების პარალელურად, ეწყობა საექსპლუატაციო გზა.

ქვემო სამგორის სარწყავი სისტემის მაგისტრალური არხის ახალმოწყობილი მონაკვეთი საგარეჯოს მუნიციპალიტეტში დამატებით 325 ჰექტრამდე სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობს მორწყავს.

პროექტი დასრულების ეტაპზეა.

საგარეჯოს სავარგულებამდე მიმავალი გზის მოხრეშვა

სოფელ ხაშმის საუბნო გზის მოწესრიგება

სამება-კაწარეთისკენ მიმავალი გზის მოსწორება

ჭიდაობა

პატარა გიორგიწმინდელი ფალავნის დიდი მიზნები

გიორგიწმინდის *სპორტული სკოლა და მისი აღსაზრდელები დირსეულად აგრძელებენ დიდი არსენ მეკოკიშვილის და მისი თანასოფლელი ფალავნების სახელოვან სპორტულ ტრადიციებს . გასული,2018 წელი განსაკუთრებული წარმატებების წლად ჩაიწერა ამ სკოლის გამორჩეული აღსაზრდელის* <u>*დავით კევლიშვილის*</u> *სპორტულ ბიოგრაფიაში. წარმატებები, რაც 13 წლის მოჭიდავეს ამ ერთ წელიწადში აქვს მოპოვებული ჩვენი ქვეყნისა თუ საზღვარგარეთის საჭიდაო არენებზე, იშვიათად თუ აქვთ მისი ასაკის მოჭიდავეებს. რაიონის, კახეთის რეგიონის, საქართველოსა თუ საერთაშორისო დონეზე გამართული 18 სპორტული ასპარეზობიდან მას 13-ჯერ აქვს მინიჭებული ჩემპიონის ტიტული. ერთხელ გახდა ვერცხლის, ოთხჯერ კი ბრინჯაოს მედლის მფლობელი. აღნიშნული მიღწევებიდან განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს დავითის მიერ გასული წლის 27 აპრილს უნგრეთის დედაქალაქ ბუდაპეშტში ევროპის თასის გათამაშებაში 36 კგ წონით კატეგორიაში მოპოვებული ბრინჯაოს მედალი. ამის შემდეგ კი სულ რაღაც 10-11 დღეში, იგი გახდა დანიაში კოპენჰაგენში ღია პირველობის ჩემპიონი 35 კგ წონით კატეგორიაში, რომელიც 8 მაისს ჩატარდა. ამ შედეგებით დავითი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გასული წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეულშია დასახელებული. პატარა გიორგიწმინდელი მოჭიდავის ამ წარმატებებს ჩვენი გაზეთი თავის დროზე პერიოდულად აშუქებდა თავის ფურცლებზე, ახლა კი გადავწყვიტეთ, უფრო ახლოს გავცნობოდით და გაგვეცნო იგი ჩვენი მკითხველისათვის.*

– დავიბადე 2005 წლის 9 აგვისტოს გიორგიწმინდაში და ვსწავლობ ამავე სოფლის საჯარო სკოლაში, რაც შეეხება ჭიდაობას, ვარჯიში 2012 წელს დავიწყე და ჩემი პირველი მწვრთნელები და დამკვალიანებლები ყველასათვის კარგად ცნობილი მოჭიდავეები ჭიდაობა სამბოში საქართველოს მრავალგზის და სსრკ-ს ჩემპიონი ახალგაზრდებში, ძიუდოში სსრკ-ს III პრიზიორი (დიდებში), სსრკ-ს ჩემპიონი (23 წლამდე) ახალგაზრდებში, თბილისის ტურნირის II და III პრიზიორი ბადრი ბასილაშვილი და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი ძიუდოში, სამბოსა და ქართულ ჭიდაობაში გოჩა მეკოკიშვილი იყვნენ – *გვიყვება დავითი.*

– ნამდვილად კარგი და სასახელო აღმზრდელები გყავს. მწვრთნელები მყავსო, შენ უნდა დაიკვეხო. ისე, თქვენს გვარში პირველი მოჭიდავე შენ არ ხარ. ალბათ გეცოდინება, თავისუფალ ჭიდაობაში სსრკ უმაღლესი სასწავლებლების და საქართველოს მრავალგზის ჩემპიონი თამაზ კევლიშვილი, მისი ძმა, იმავე საკავშირო სასწავლებლების ასევე ჩემპიონი და სსრკ-ს სოფლის სპორტსმენთა ჩემპიონი ბიძინა კევლიშვილი... რა ნათესავები არიან ისინი შენი და შენი ოჯახიდანაც თუ ჭიდაობდა ვინმე?

– ზემოთაღნიშნული ფალავნები ჩემი დიდი პაპის (გუგული კევლიშვილის) ბიძაშვილები არიან. რაც შეეხება ჩემს ოჯახს, თავის დროზე ჭიდაობაში ვარჯიშობდნენ ჩემი მამა და პაპაც.

– ჭიდაობის ასეთი ტრადიციების გვარისა და ოჯახის წარმომადგენელთაგან სხვა შედეგები არც არის მოსალოდნელი. ჩანს, რომ გენში მოგდგამს ეს. ხომ ვერ გაიხსენებ, როდის მიაღწიე პირველ დიდ წარმატებას?

– ეს იყო 7 წლის ასაკში, როცა გამარჯვებული გამოვედი რაიონის ჩემპიონატზე, საქართველოს მასშტაბით კი პირველ გამარჯვებას თბილისში, ნაძალადევის მართვეს „ბაზაზე“ ძიუდოში გამართულ ასოპარეზობაში მივაღწიე.

– გასულ წელს შენს მიერ მოპოვებული ჩემპიონის ცამეტი ტიტულიდან, ორი ქართულ ჭიდაობაზე მოდის. რა ადგილი უკავია და რა წვლილი მიუძღვის ჩვენს ეროვნულ ჭიდაობას შენს სპორტულ მიღწევებში?

– ქართულ ჭიდაობას ჭიდაობის ყველა სახეობის განვითარებაში დიდი წვლილი მიუძღვის და ცხადია მას ასევე დიდი წვლილი აქვს შეტანილი ჩემს მიერ მოპოვებულ ამა თუ იმ წარმატებაში.

– გასულ წელს შენ მონაწილეობდი საქართველოს მასშტაბით გამართულ არაერთ სპორტულ შეჯიბრში. წლის ბოლოს (17-18 ნოემბერს) იჭიდავე თბილისის საერთაშორისო ტურნირზე 2004-2005 წლებში დაბადებულ ძიუდოისტებში 38 კგ წონით კატეგორიაში, 2 დეკემბერს ჯიბილო ნიჟარაძის ტურნირზე ამავე წონაში. აქედან გამომდინარე გაირკვეოდა, ვინ არის სადღეისოდ შენი ძირითადი კონკურენტი ამ წონაში და რა შედეგები გაქვს მასთან?

– ამ წონით კატეგორიაში არიან კარგად მომზადებული ბავშვები საქართველოს ყველა რეგიონიდან და ყველა მათგანთან მაქვს დადებითი ბალანსი.

– მოდი მოგვიყევი, რა მოხდა ბუდაპეშტში 27 აპრილს გამართულ ევროპის თასის გათამაშებაზე, სადაც ყველა პირობა გქონდა გამხდარიყავი ჩემპიონი, მაგრამ III ადგილზე აღმოჩნდი?

– ამ გათამაშებაში მე ვიჭიდავე შვიდ მეტოქესთან, საიდანაც 6 შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დავასრულე, მაგრამ შემთხვევით მახრჩობელა ილეთით დავმარცხდი, რადგან ეს ილეთი საქართველოში ამ ასაკობრივ ჯგუფში არ გამოიყენება და მის შესრულებას არ მოველოდი.

– 8 მაისს დანიაში, კოპენჰაგენის ღია პირველობაზე გახდი ჩემპიონი. ძნელი იყო თუ იული შენთვის ამ წარმატების მიღწევა?

– კოპენჰაგენის ღია პირველობაში მონაწილეობას ვიღებდით 12 ქვეყნის წარმომადგენლები. მე მომიწია 5 შეხვედრის გამართვა. ფინალში დავამარცხე ჩეხეთის წარმომადგენელი და ყველა შეხვედრა წმინდა გამარჯვებით დავასრულე.

– ვინ არის ჭიდაობაში შენი საყვარელი და მისაბაძი ფალავანი?

– ეს გახლავთ 2014 წლის მსოფლიო ჩემპიონი და ნომერ პირველ ძიუდოისტად დასახელებული ქართველი ფალავანი ავთანდილ ჭრიკიშვილი.

– როგორია სკოლაში შენი სწავლის „ბალანსი“ და ჭიდაობის გარდა კიდევ რა გიტაცებს, რა სამომავლო გეგმები გაქვს?

– სკოლაში ვსწავლობ საშუალო დონეზე და მაქვს პასუხისმგებლობის გრძნობა გაცდენებთან და სწავლასთან მიმართებაში. მიტაცებს თანამედროვე ტექნოლოგიები, ტრანსპორტი, ტურიზმი და ბიზნესსფერო. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს – ეს არის ოლიმპიური ჩემპიონის ტიტულის მოპოვება და ასევე მინდა გავხდე ბიზნესმენი, რა თქმა უნდა, ეს ადვილად ასასრულებელი ოცნებები არაა, მაგრამ ღირს ადამიანმა მისთვის იბრძოლოს.

– აბა შენ იცი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს და კიდევ მრავალჯერ გაგეხარებინოს შენი მიღწევებით შენი ოჯახი და მასთან ერთად მთელი საქართველო.

ესაუბრა <u>*ვიკი დაგახიშვილი*</u>

გარეჯელები

ჭადრაკი

რეგიონულ ჩემპიონტზე

23-24 თებერვალს გურჯაანის საერთაშორისო დიდოსტატების ნანა იოსელიანის და გია გიორგაძის სახელობის საჭადრაკო კლუბში ჩატარდა კახეთის რეგიონული ჩემპიონატი ჭადრაკში 8 და 10 წლამდე ასაკის გოგონათა და ვაჟთა შორის. საგარეჯოელი მოჭადრაკეების საკმაოდ დიდი ჯგუფი ჩაერთო ამ პრესტიჟულ ტურნირში, რომლის მნიშვნელობასაც ზრდიდა ის ფაქტი, რომ აქ გამარჯვებული გარდა ოქროს მედლისა და კახეთის ჩემპიონის ტიტულისა, საქართველოს ჩემპიონატის I ლიგის საგზურსაც იღებდა. ასეთივე საგზურით ჯილდოვდებოდა მეორე ადგილზე გასული მოჭადრაკე.

ყველაზე წარმატებული გურჯაანის ჩემპიონატი გამოდგა საგარეჯოელი გოგონებისათვის. 8 წლამდელ გოგონათა შორის I ადგილი დაიკავა მარიამ აგულაშვილმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე), რომლმაც ყველა პარტია მოიგო), მეორე ადგილი წილად ხვდა თეკლა ფეიქრიშვილს (მწვრთნელი ელენე ფარეშიშვილი), ხოლო III ადგილზე ნინი აგულაშვილი გავიდა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). 10 წლამდე გოგონათა შორის II ადგილი დაიკავა ანასტასია კევლიშვილმა, რომელმაც ასევე მოიპოვა საქართველოს ჩემპიონატის I ლიგაში გამოსვლის უფლება.

8 წლამდელ ვაჟთა შორის ბრძოლაში მწვრთნელ ირაკლი ქვლივიძის 3 აღსაზრდელი ჩაება. მათგან საუკეთესო შედეგი აჩვენა ფართლი საბრიმ, რომელმაც 5 ქულა დააგროვა და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა. ასევე კარგად ითამაშეს 1 წლით პატარა მოჭადრაკეებმა შიო შიოშვილმა და ნიკოლოზ ჩალათაშვილმა, რომელთაც 4-4 ქულა მოაგროვეს.

10 წლამდე ვაჟთა შორის ასევე ჩინებულად ითამაშეს სოსო დარბაისელმა და ერეკლე ქურხულმა (მწვრთნელი ირაკლი ქვლივიძე). პირველმა მათგანმა 4, ხოლო მეორემ 4,5 ქულა დააგროვა. ერეკლე ბოლო ტურში ჩემპიონატის ლიდერთან რთულ ბრძოლაში დამარცხდა და სულ ცოტა დააკლდა საპრიზო ადგილამდე.

გამარჯვებულებს პრიზები საერთაშორისო დიდოსტატმა ნანა იოასელიანმა გადასცა.

ვულოცავთ ჩვენს ნორჩ მოჭადრაკეებს ამ წარმატებას და უფრო დიდ გამარჯვებებს ვუსურვებთ საქართველოს ჩემპიონატში, რომელიც მარტის პირველ რიცხვებში ჩატარდება.

<u>რას ამბობენ ვირუსულ დაავადებებზე</u>

„საუკუნეებია, მოგვყვება „ბატონები“

წითელას, წითურას, ყბაყურას მედიცინა ინფექციურ დაავადებებს უწოდებს. ხალხი, ჩვენი წინაპრები კი მათ „ბატონებად“ მოიხსენიებდნენ – კრძალვით, შიშით, პატივისცემით. თუ ვინმე „არ მოიხდიდა“, თუ ვინმეს ეს „ბატონები“ არ ეწვეოდნენ, ის დაწუნებული ხდებოდა „ბატონებისაგან“.

საუკუნეებს გაუძლო „ბატონების“ მიმართ პატივისცემამ. მისი ყოველ ოჯახში „შებრძანება“ დიდი პატივი იყო ოჯახის წევრებისათვის და ისე ექცეოდნენ, როგორც „ბატონს“ შეეფერებოდა. თავად „მასპინძელი“– პატარა ბავშვი განსაკუთრებული მოვლის, ყურადღების ცენტრში ექცეოდა – სპეციალურ კუთხეს, ოთახს გამოყოფდნენ და წითელი ბუშტებითა და წითელი ბაფთებით მორთავდნენ. მოხუცი ბებიები ფანდურსა და ჩონგურზე ძველი, წარმართული ხანიდან შემორჩენილ სიმღერებს უმღეროდნენ, რასაც გასაოცარი სიმშვიდე მოჰქონდა ბავშვისთვის.

90 წელს გადაცილებული მარო ბებო იხსენებს:

– ამ დროს, შვილო, არ შეიძლებოდა ოჯახში ხმამაღალი საუბარი, რაიმე მძაფრსუნიანი საჭმლის მომზადება, არ კლავდნენ არც ქათამს და არც სხვა პირუტყვს, არ ხმარობდნენ საპონს... ერთი სიტყვით, ყველა „მობრძანებულ ბატონს“ ემსახურებოდა – სიყვარულით, პატივისცემით, დიდი კრძალვით. წითელამ და წითურამ გამონაყარის გამო საშინელი, შემაწუხებელი ქავილი იცის. ამ დროს ჩვენი ბებიები იის, ლურჯი, ჩვეულებრივი ტყის იის 10 ფოთოლს ერთ ჭიქა წყალში წამოადუღებდნენ, გადაწურავდნენ, იმ ნაყენში ბამბას, ან მიტკალს დაასველებდნენ და კანს იმით უწმენდნენ ბავშვს. კანი მშვიდდებოდა და ბავშვს ქავილი აღარ აწუხებდა. ამ „ბატონებს“ ზოგჯერ თან ახლავს სასუნთქი გზების შევიწროება, ხველა, მოხრჩობის შეგრძნება. ბებიები როდინში დანაყავდნენ დარჩეულ ნიგოზს, „ბაზმებს“ ჩამოქნიდნენ, დასვამდნენ თეფშზე (3 ცალი უნდა ყოფილიყო) და ასანთს მოუკიდებდნენ. მართალია წვის შედეგად შავი კვამლი გამოიყოფა (ნიგვზის ზეთის გამო), მაგრამ ბავშვს სასუნთქი გზები ეხსნება და შვებას გრძნობს.

შეიძლება მავანს გაეცინოს ჩემს ნათქვამზე, მაგრამ რაც მინახავს საკუთარი თვალით იმას გეუბნებით, შვილო, „ბატონებს“ სიმშვიდე სჭირდებათ, შეიძლება ექიმმა მკურნალობა ჩართოს, მაგრამ ოჯახში სიმშვიდე პირველი მკურნალია ამ დროს.

ნიკოლოზი *(90 წლის):* – ბევრი „სახადი“ მოიხადა ქართველმა ერმაც. 40-იან წლებში „ისპანკას“ ეძახდნენ, ესპანეთში გაჩენილი გრიპი საქართველოსაც მოედო, ბევრი ადამიანი შეიწირა... „ბატონები“ კი ისე მოგვყვება საუკუნეებია, როგორც დაწესებული კანონზომიერება. ყოველ გაზაფხულზე ჩნდებიან „ბატონები“ – ყველამ თავისი „ხარკი“ უნდა მოიხადოსო... ექიმები გვაფრთხილებენ, გვმოძღვრავენ, ყურად უნდა ვიღოთ მათი ნათქვამიც და რჩევაც, მაგრამ „ბატონები“ არ უნდა გავაღიზიანოთ, სიმშვიდე უნდა იყოს ოჯახში. კიდევ ბევრი რამაა გასათვალისწინებელი. მახსენდება მამაჩემის ნათქვამი: – მამაჩემის ძმას, 5 წლისას შეხვედრია „ბატონები“, სიცოცხლით სავსე ბიჭი ყოფილა, იმ საღამოს სტუმარი მოსულა და მის საპატივსაცემოდ ქათმის მამალი დაუკლავთ, იმ ღამეს ბავშვი მძიმედ შექმნილა, ისე ახველებდა, თითქოს მამალი ყიოდაო. როგორც ჩანს, ყივანახველაც დაერთო და მეორე დილით ბავშვი „ბატონებმა“ წაიყვანესო... ასე, რომ , რასაც ჩვენი წინაპრები გვაფრთხილებდნენ, ჩვენც ექიმის რჩევასთან ერთად გავითვალისწინოთ და საშიში აღარაფერი იქნება.

ახალი წიგნი

ახლახან გამოვიდა გარეჯელი პოეტის **დავით ტიგინაშვილის** ლექსების ახალი კრებული „მუზის ქარიშხალი“

გთავაზობთ წიგნის წინასიტყვაობას და პოეტის ლექსს „ქრისტე აღსდგა, საქართველოვ გიხაროდენ!“

გულმდუღარე და ომახიანი

დავით ტიგინაშვილი დიდი გიორგი ლეონიძის მიწა-წყლის შვილია. თავისი დიდი წინამორბედივით ომახიანი და გულმდუღარე, ამაყი და ბავშვივით მიამიტი. ერთი სიტყვით, პოეტია.

იგი რახანია წერს, მისებურად. სტკივა და უხარია, იცინის და ტირის. ცხოვრებაშიც თავისებური კაცია. იგი არავის არ ჰგავს... მისი პოეზია გარეკახეთის ულამაზესი სანახებიდან იღებს სათავეს, ამიტომ მისი ლექსი ანკარაა და აუმღვრეველი. მისი ფრაზა ფერადი და ზეაწეული. არ მიყვარს – როდესაც შემოქმედს ამოგლეჯილი ფრაზებით წარმოაჩენენ ხოლმე. იგი ერთობლიობაში უნდა წარმოიდგინოს მკითხველმა. ესა თუ ის შემოქმედი თუ რა დონისაა, ეგ მარტო უფალმა უწყის. ამას ვინ განსჯის ადამიანთაგანი?!

დათო, დავითი – პოეტია. დანარჩენი ძვირფასმა მკითხველმა შეაფასოს და განსაჯოს! მე კი ამ სიტყვებით დავამთავრებდი ჩემს სათქმელს – სიმართლე და გულისწადილი არ გამოელიოს ძვირფასი მეგობრის დაწერილ და ჯერ კიდევ დაუწერელ ლექსებს...

ფეხბედნიერი იყოს მისი ახალი წიგნის შემობრძანება ამ ზღვარდაუდებელ ლიტერატურულ სამყაროში...

***პატივისცემით** თემურ ჩალაბაშვილი*

* * *

ქრისტე აღსდგა, საქართველოვ გიხაროდენ!

საუფლო სუფრიდან ვაჟამ გადმომხედა,
მოდი გაგახარო, აგალაპარაკო,
ამცნე საქართველოს, ქრისტე საუფლოში
ქართულად ღიღინებს და ქართულად ლაპარაკობს.
ღმერთო, დაილოცოს შენი ძლიერება,
ღმერთო, ამ პწკარებმა დრონი გადათელოს,
აღსდექ, საქართველოვ, მზისფერ ბილიკებით,
ქრისტე მობრძანდება, ტურფა საქართველოს.
მალე ყველაფერი ქართულად ამღერდება,
უფლის ბრწყინვალებამ მარად ანათელოს,
მალე იბერია ზეცად გაბრწყინდება,
უფალს მოენატრა დიდი საქართველო.
უფალს მოენატრა ვაზის ყვავილობა,
თუშურ ფარდაგივით ლექსი მზით დართული,
უფალს მოენატრა ღვთისმშობლის იავნანა,
სიყრმის ბილიკები, ენა ღვთივ ქართული.
აბა, პოეტებო, დასცხეთ ალიონზე,
ციდან ჩამოისმის ხმები საოცარი,
საქრისტიანოა, სვეტიცხოველია,
ქართული მიწაა ღმერთის სალოცავი.
ღვთისმშობელი დაჰყურებს საქართველოს,
ქართული სიბრძნე თაობებს ეყოფა,
მოდის ძლიერი საქართველო...
გვენატრება დავითის ეპოქა.
გალობს ღვთის საუფლო ქართულ საგალობლებს,
უფალს მოენატრა სუნთქვა წამიერი,
გონაშვილმა აამღერა სამოთხის დარბაზები,
ქუხს ჩაკრულო და მრავალჟამიერი.
მოდის, მობრძანდება მადლი მახარობელს,
აღსდექ საქართველოვ! მზით ხარობდე,
საქარველო ქრისტეს სამოთხეა,
ქრისტე აღსდგა! იბერიავ, გიხაროდენ!!!

ახალ ადგილზე – სიახლით

საგარეჯოში აგრარული ბაზარი გაიხსნა

***თებერვლის** დასაწყისში საგარეჯოში, თამარ მეფის ქუჩაზე ახალი, თანამედროვე აგრარული ბაზარი გაიხსნა, რომლის მშენებლობა მთლიანად საგარეჯოს მუნიციპალიტეტის გამგეობამ დააფინანსა. ბაზარში უკვე შევიდნენ პირველი მოვაჭრეები და მყიდველები, რომლებსაც აქამდე ვაჭრობა ერეკლე II-ის ქუჩაზე მოვაჭრეთა მიერ სტიქიურად მოწყობილ ბაზრობაზე საკმაოდ მძიმე პირობებში უხდებოდათ და არანაკლებ დისკომფორტს უქმნიდნენ ამ ქუჩაზე ფეხით თუ ტრანსპორტით მოსიარულეთ.*

თუ როგორ გრძნობენ თავს ახალ სავაჭრო ადგილზე მოვაჭრეები და ჩვენი რიგითი მოქალაქეები, ამის შესახებ გთავაზობთ მათთან საუბრის ჩანაწერს:

– საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობამ მართლაც კარგი საჩუქარი გაგვიკეთა როგორც მოვაჭრეებს, ისე რიგით საგარეჯოელებს. გადმოვედით ნამდვილად კეთილმოწყობილ და დაცულ შენობაში, – ***გვეუბნება ერთ-ერთი მოვაჭრე*** – სხვა რომ არაფერი იყოს, ქარწვიმისა და მზისაგან საიმედოდ ვართ დაცულები, რასაც ძველ სავაჭრო ადგილას ვერ ვახერხებდით, აქ კი ყველაფერია, წყალი, სველი წერტილები...

– ხალხი თუ მიეჩვია ახალ ბაზარს და თუ დადიან სავაჭროდ?

– კი, ნელ-ნელა ეჩვევიან და მოდიან ჩვენთან. ეგ არის მარტო, რომ ზოგიერთი ე.წ. გარე მოვაჭრე ისევ ვაჭრობს ქუჩებში და ხალხი ძველი ადგილიდან გარკვეული მანძილის გამო მათთან ირჩევს პროდუქტების შეძენას.

– ძველთან შედარებით ვაჭრობის პირობები როგორი გაქვთ?

– ჯერჯერობით გაუმჯობესებული პირობების უკუპროპორციულად. აქ თუ მეტი კეთილმოწყობა და სავაჭრო პირობებია, ძველ ადგილას უფრო მეტი შემოსავალი გვქონდა, მაგრამ იმედია, ხალხი მიეჩვევა აქ სიარულს და ეს საკითხიც გამოსწორდება.

– ალბათ ვაჭრობის გადასახადი გექნებათ დაწესებული, თუ ხართ მისით კმაყოფილი?

– ჯერჯერობით, ამ თვის ბოლომდე გადასახადისაგან გათავისუფლებული ვართ, ალბათ შედავათი გაგვიკეთეს, ვიდრე ხალხი აქაურობას შეეჩვევა, მერე ალბათ გვეტყვიან, რას გადავიხდით.

– ბაზრის მომსახურებით მოსარგებლე ფეხით მოსიარულე მყიდველებს ცოტა დაგვიშორდა ბაზარი, მაგრამ იმ პირობებთან შედარებით, რაშიც ადრე გვიწევდა ვაჭრობა, ჯობია ადამიანმა რამდენიმე ნაბიჯით მეტი გაიაროს, ვიდრე იმ ანტისანიტარულ პირობებში შეიძინოს პროდუქტები, – ***გვერთვება ბაზარში შემოსული ერთ-ერთი მყიდველი,*** – აქ ყველანაირი პირობებია, რომ მყიდველმაც და გამყიდველმაც თავი კომფორტულად იგრძნოს, ძველი ვაჭრობის ადგილას კი რაც ხდებოდა, ყველა საგარეჯოელმა ვიცით.

დიდი მადლობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელობას ჩვენი ქალაქის მცხოვრებთათვის ასეთი კარგი საჩუქრისათვის.

***ჩაიწერა** გივი დაბახიშვილმა*

ძვირფასო საგარეჯოელებო თქვენი თანადგომაა საჭირო, ერთად დავეხმაროთ საგარეჯოელ 6 თვის **თეკლა ხოსიტაშვილს**, რომელსაც დაუდგინდა სპინალური ამიოტროფია (ვერდინგ-ჰოფმანის დაავადება). რომლის მკურნალობა საქართველოში არ ხდება. საფრანგეთის კლინიკა „Trausseau“-ში არსებობს წამალი „avex-101“ და თუ დროულად მოხდება კურსის დაწყება, დაავადება მკურნალობას დაექვემდებარება.

თეკლას ტრანსპორტირების დროს, მისი ჯანმრთელობა გაუარესდა რის გამოც, თვითმფრინავი ავარიულად დაეშვა ქალაქ ბუდაპეშტში და ბავშვი მწვავე ფილტვების ანთებით მოხვდა ერთ-ერთი კლინიკის რეანიმაციულ განყოფილებაში. თეკლას მკურნალობა დიდ თანხებთან არის დაკავშირებული. სამწუხაროდ, დავალიანება ყოველდღიურად იზრდება და გადახდა უფრო შეუძლებელი ხდება.

დრო ბავშვის საწინააღმდეგოდ მოქმედებს და თითოეულ დღეს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დახმარების მსურველებს თანხის გადარიცხვა შეუძლიათ:

საქართველოს ბანკის ანგარიში:
GE36BG0000000018377200
მიმღები: ანანო ქვლივიძე
36001049567 პირადი ნომერი
თიბისი ბანკის ანგარიში:
GE62TB7713745061100069
მიმღები: ნინო ხოსიტაშვილი
36001049648 პირადი ნომერი

დავეხმაროთ თეკლას

გამოსათხოვარი

ზაზა მჯედლიშვილი



ყოველთვის კარგი და ლამაზად ორიგინალური მეგობარი გვყავდი და მარადიულად ასეთი დარჩები ჩვენს გულებში, ჩვენო ძვირფასო ზაზა!

მუდამ სიცოცხლით სავსეს და ხალისიანს გიხაროდა მეგობრებში ყოფნა და ჩვენც გვიხალისებდი ცხოვრებას შენი ლამაზი ქცევით და ურთიერთობით.

საოცრად მოულოდნელად გიღალატა შენმა სიკეთით სავსე გულმა და შენი წასვლით დატოვე ღრმა ტკივილი ყოველი ჩვენგანის გულში.

ნათელში გამყოფოს უფალმა, ჩვენო ზაზა.

მეგობართა ერთი ჯგუფი:

ნუგზარ გზირიშვილი, სოსო ოტიაშვილი, მერაბ ქურდიანი, ირაკლი ქვლივიძე

„გარეჯის მაცნეს“ გამომცემელი შპს „გარეჯის მაცნე“ გაზეთი რეგისტრირებულია სსიპ „საჯარო რეესტრში“ სარეგისტრაციო ნომერი 281366; საიდენტ. კოდი 438107460. ტირაჟი – 300

რედაქციის მისამართი: ქ. საგარეჯო, დ. აღმაშენებლის ქ. № 15,

გაზეთი აიწყო და დაკაბადონდა შ.პ.ს. „გარეჯის მაცნეში“ დაიბეჭდა თბილისში, გამომცემლობა „კოლორ-პრესში“.

ტელეფონები: 599 502 842 599 851 143

ელ. ფოსტა: garejismacne11@gmail.com

რედაქტორი:
თინათინ ილაური

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის საკრებულო თანაგრძნობას უცხადებს საკრებულოს ყოფილ თავმჯდომარეს ილია ჭიაურელს დედის

ლიანა ქურხული-ჭიაურელის

გარდაცვალების გამო.